მითხარი ისლამის შესახებ ისეთი სიტყვები, რომ ამის შემდეგ მე აღარავის ვკითხავდი ამის შესახებ შენ შემდეგ". მან მიპასუხა: «თქვი: "მე მწამს ალლაჰის", შემდეგ კი სწორ გზას დაადექი

გადმოცემულია აბუ ‘ამრიდან — ასევე თქმულია: აბუ ‘ამრათ სუფიან იბნ ‘აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "(ერთხელ) მე ვთხოვე: ო, ალლაჰის შუამავალო, მითხარი ისლამის შესახებ ისეთი სიტყვები, რომ ამის შემდეგ მე აღარავის ვკითხავდი ამის შესახებ შენ შემდეგ". მან მიპასუხა: «თქვი: "მე მწამს ალლაჰის", შემდეგ კი სწორ გზას დაადექი».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

საჰაბა სუფიან ბინ აბდულლაჰ (ალლაჰი იყოს მისთ კმაყოფილი) შეეკითხა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ესწავლებინა მისთვის ერთი სიტყვა, რომელიც მთლიანად მოიცავდა ისლამს, რომელსაც ჩაეჭიდებოდა და სხვას აღარ კითხავდა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა: თქვი: 'მე ვაღიარებ ალლაჰის ერთობას და მწამს, რომ ის არის ჩემი უფალი, ჩემი ღმერთი, ჩემი შემოქმედი და ჩემი ერთადერთი თაყვანსაცემი, და მას არ ჰყავს თანაზიარი'. შემდეგ ადამიანი ემორჩილება ალლაჰის ბრძანებებს, ასრულებს მის დაკისრებულ ვალდებულებებს, თავს არიდებს იმას, რაც მან აკრძალა, და ამ გზას მიჰყვება.

https://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66524